ფილოლოგია (სტუდენტური ჟურნალი)
Philology (Students' Journal)
E ISSN 2960-9593, ISSUE II, 2025

სიყვარული და ილუზია აირის მერდოკის რომანში „შავი პრინცი“

Love and Illusion in Iris Murdoch's novel "The Black Prince"

ცოტნე ღუღუნიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tsotne Ghughunishvili
Tbilisi State University

Abstract

Iris Murdoch's **The Black Prince** is a novel where love becomes an illusion. For the characters, love is not an act of empathy or moral connection, but rather a projection of personal desire, insecurity, and fantasy. Murdoch shows how both art and love act as mirrors through which people try to see themselves, yet ultimately remain blind to their true inner selves. However, truth is no longer a shared reality.

The novel's intricate narrative structure, framed by forewords and post-scripts, challenges the trustworthiness of any single perspective. As a result, the reader is cast in the role of a detective without proof, who must look beyond the author's web of narration and explore the inner worlds of the characters to uncover the real truth. Murdoch presents the uncertainty of truth not just as a storytelling device, but as a deep ethical issue.

Through this research, it was found that Murdoch deliberately dissolves the lines between reality and illusion, both in art and human relationships. Her characters use fantasy to escape moral responsibility, often hiding behind ideals while making decisions motivated by ego and fear. The novel ultimately shows how moral failure arises from the inability to see beyond oneself. In The ***Black Prince***, illusion is not just a theme - it is the very basis through which love, art, and even identity are experienced.

Keywords: Illusion, Love, Art, Ego, Morality.
საკვანძო სიტყვები: ილუზია, სიყვარული, ხელოვნება, ეგო, მორალურობა.

1. შესავალი

აირის მერდოკის რომანი ***შავი პრინცი*** წარმოადგენს ლიტერატურული ოსტატობის გამორჩეულ ნიმუშს, სადაც რეალობისა და ილუზიის ურთიერთდაპირისპირება ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის უმთავრეს ქვაკუთხედად იქცევა. აღნიშნული თემა არა მხოლოდ შინაარსობრივ, არამედ სტრუქტურულ დონეზეც, ლაიტმოტივად გასდევს რომანს. იგი იწყება და მთავრდება წინასიტყვაობითა და ბოლოთქმით - სტრუქტურული ჩარჩოებით, რომლებიც ხაზგასმულად ეჭვქვეშ აყენებს მთხრობელის სანდოობას. წინასიტყვაობაში ბრედლი პირსონი საკუთარი აღსარების სანდოობას გვპირდება, მაშინ როცა ბოლოთქმაში წარმოდგენილი სხვა პერსონაჟები რადიკალურად განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობენ იმავე მოვლენებზე. ასეთი მიდგომა იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს, რაც უამრავ კითხვას ბადებს: როგორ მივუდგეთ ბრედლის მონათხრობს? ვის დავუჯეროთ? რამდენად არის საკუთრივ რომანი ჭეშმარიტების მატარებელი და არა უბრალოდ ერთ-ერთი პერსონაჟის ილუზიური კონსტრუქცია? ამრიგად, მკითხველი ავტორიტეტული მთხრობელის ჭეშმარიტებას აყენებს ეჭვქვეშ, რითაც გამოიკვეთება მთავარი იდეა - რეალობის აღქმის სუბიექტურობა და ამ სუბიექტურობის მორალური შედეგები.

ხელოვნება და მისი არსი მუდამ წარმოადგენდა უთანხმოებისა და კამათის საგანს. რომანში ,,შავი პრინცი" ხელოვნების როლი და მისია მხატვრულ ნარატივზე აგებული ერთგვარი ინტელექტუალური თამაშია, სადაც, ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელია, მაგრამ გამუდმებით ჩნდება პარადოქსული ელემენტები. იბადება განცდა, რომ მიუხედავად ძალიან მკვეთრი აქცენტებისა ხელოვნების მთავარ მიზნებზე - ჭეშმარიტება და მორალურობა- ყოველთვის ხდება რაღაც საპირისპირო და სრულიად მოულოდნელი. ამიტომაცაა, რომ ხელოვნება შესაძლოა ღირებულებათა ილუზიად იქცეს, მაშინ როცა იგი მორალურობას ვერ ამართლებს. შესაბამისად, თუკი ხელოვნება მართლაც შეიძლება ამდენად ყალბი იყოს, რა უნდა ასაზრდოებდეს მას? ან როგორ შეიძლება ხელოვნებამ მსგავსი ნიღაბი მოირგოს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა თვალი გადავავლოთ ბრედლი პირსონის ცხოვრებისეულ დეტალებს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ისტორიებს, რისიც ბრედლის სწამს რომ სიმართლეა.

მერდოკი თავის ცნობილ ესეში ***The Sovereignty of Good*** მკაფიოდ უსვამს ხაზს იმას, რომ ადამიანის ცნობიერება არ არის რეალობის ობიექტურად ამსახველი საშუალება, ვინაიდან იგი ხშირად ამღვრეულია ეგოისტური იმპულსებით, თავდაცვითი მექანიზმებითა და ფანტაზიებით. ეს მსოფლმხედველობა ასახულია „შავი პრინცის"

სიუჟეტშიც: პერსონაჟები ვერ აღიქვამენ რეალობას ისეთად როგორიც არის, ისინი ქმნიან საკუთარ ილუზიებს - ზოგჯერ სიყვარულით მოტივირებულს, ზოგჯერ ხელოვნებით, ზოგჯერ კი ეგოიზმით.

ხელოვნება, რომელიც თითქოსდა ჭეშმარიტების ძიების საშუალებად უნდა მოგვევლინოს, მერდოკის ინტერპრეტაციით ხშირად იქცევა ნიღბად, იმიჯად, რომლითაც პერსონაჟი საკუთარ ეგოს იცავს. ბრედლი ამბობს: "Art is imagination. Imagination changes, fuses" (Murdoch, 2003, გვ. 32). ამ სიტყვებში იგულისხმება, რომ ხელოვნება წარმოდგენაზეა აგებული, რომელიც ყოველთვის რეალობას არ ასახავს. ხელოვნება შეიძლება იმიჯად იქცეს, რომელიც ავტორს ან პერსონაჟს იცავს საკუთარი პიროვნების იმ სიღრმეებისგან, რომელთა დანახვაც ან გამოჩენაც არ სურს - მაგალითად, მორალური სისუსტეებისგან. სწორედ ამიტომ, ხელოვნების აქტს თან სდევს მანიპულაცია, რომელიც შლის ზღვარს სიმართლესა და სურვილს შორის.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აირის მერდოკის რომანში ***შავი პრინცი*** წარმოდგენილი ხელოვნების, სიყვარულისა და ილუზიის ფენომენთა ურთიერთმიმართების კვლევას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ წარმოგვიდგენს ავტორი პერსონაჟთა ფარული და რეალური მოტივების კონტრასტს და ამ მოტივთა მორალურ შედეგებს მხატვრული ნარატივის მეშვეობით.

ნაშრომი ახლებურად წარმოაჩენს აირის მერდოკის ფილოსოფიისა და მხატვრული ტექსტის ურთიერთკავშირს: ილუზია აქ განხილულია არა მხოლოდ როგორც თემა, არამედ როგორც პერსონაჟთა მორალური მარცხის ფსიქოლოგიური და ეთიკური საფუძველი. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ იქცევა ხელოვნება და სიყვარული თვითდაცვის მექანიზმად, რომელსაც გმირები იყენებენ რეალობასთან დაპირისპირების თავიდან ასარიდებლად.

2. კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება ინტერპრეტაციულ მეთოდოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტის შიგნით არსებული სიუჟეტური სტრუქტურებისა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიური შრეების გაანალიზებას. ანალიზი ემყარება აირის მერდოკის ფილოსოფიურ ესეს ***The Sovereignty of Good*** (2003) რითაც შესაძლებელი ხდება რომანში წარმოჩენილი ეთიკური პრობლემატიკისა და ილუზიის ბუნების განსაზღვრა როგორც ფილოსოფიური, ისე ნარატიული პერსპექტივიდან.

ანალიზისთვის ყურადღება ეთმობა თხრობის სტილს, რომელიც პერსონაჟის პერსპექტივიდანაა გადმოცემული. ამ ნარატიული სტრატეგიის მეშვეობით მერდოკი

გვიჩვენებს არა მხოლოდ პერსონაჟების უუნარობას, გაარჩიონ რეალობა და ილუზია, არამედ თვითონ მკითხველსაც იმავე მდგომარეობაში ამყოფებს - ისეთ სივრცეში, სადაც ფაქტებისა და აღქმის ზღვარი გამუდმებით ბუნდოვანია. ეს ხერხი მკითხველს აიძულებს, თავად გახდეს აქტიური ინტერპრეტატორი და თავადვე განსაზღვროს სად გადის ზღვარი ამ ორ უკიდურესობას შორის.

3. აირის მერდოკის ფილოსოფია

აირის მერდოკის მსოფლმხედველობის გასაგებად საინტერესოა მისი დაპირისპირება ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის, ჟან-პოლ სარტრის იდეებთან. სარტრის მიხედვით, ადამიანი თავისუფალია, მაგრამ ეს თავისუფლება სერიოზულ პასუხისმგებლობას აჩენს: ინდივიდმა თავად უნდა განსაზღვროს რა არის სწორი და არასწორი. სარტრის იდეოლოგიის ცნობილი დევიზი იყო: "Existence precedes essence", რაც ნიშნავს, რომ ადამიანი არ იბადება განსაზღვრული ბუნებით, არამედ ქმნის საკუთარ არსს თავისივე ქმედებების საშუალებით (Sartre, 2007).

მერდოკი ამ პოზიციას ეჭვქვეშ აყენებს. იგი მიიჩნევს, რომ ადამიანი არ არის დამოუკიდებელი და სრულად თავისუფალი არსება - პირიქით, მას ხშირად აფერხებს საკუთარი ეგო, ფანტაზია, შიშები და სურვილები. ამიტომ, მორალური ქმედება მერდოკისთვის უკავშირდება ამ „ნაკლოვანებების" გაცნობიერებასა და დაძლევის მცდელობას (Verma, 2021).

ამ თვალსაზრისით, ***შავი პრინცის*** პერსონაჟები სწორედ იმ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომელსაც მერდოკი უწოდებს ეგოცენტრულს. მათი არჩევანი თითქოს თავისუფალია, მაგრამ რეალურად წარმოდგენებისა და თავის მოტყუების შედეგია. მაგალითად, მიუხედავად პრისცილას წარმოდგენებისა ქორწინების საკუთარი ნებითვე დანგრევაზე, ნათელია, რომ ეს გადაწყვეტილება არა თავისუფალი, არამედ მანიპულაციის შედეგი იყო. მისი ეგო შებოჭილი იყო მიტოვების შიშითა და წარსულზე მიჯაჭვულობით, რომ დაკარგა რეალობასთან კავშირი. ამიტომ, მისი არჩევანი სინამდვილეში მხოლოდ რეალობის დამახინჯებული აღქმის შედეგია - არა თავისუფალი ნება, არამედ ეგოს გამოხატულება.

ბრედლი პირსონის მდგომარეობაც მსგავსია. მას თავის წარმოდგენებში ჯულიანი უყვარს. თუმცაღა უყვარს არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც ის სიმბოლო, რომელიც, მისი აზრით, უნდა გააჩნდეს ჭეშმარიტ ხელოვანს. ამ სიყვარულს ის ხედავს როგორც მორალურ ხსნას, როგორც თვითდამკვიდრების გზას, რომელიც მას

წართმეული აქვს. მაგრამ მერდოკი აჩვენებს, რომ ეს სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურვილების გამუღავნებაა.

მერდოკის მიხედვით, ასეთი ქმედებები ვერ იქნება მორალური, რადგან მორალურობა იწყება მაშინ, როცა ადამიანი საკუთარი თავის მიღმა იყურება. ვიდრე ადამიანი ეგოზეა მიჯაჭვული, იგი ვერ მიიღებს მორალურ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, არც ბრედლის და არც პრისცილას გააჩნიათ ნამდვილი თავისუფალი ნება - ისინი ხდებიან ილუზიებით მართულნი, თითქოს ირჩევენ საკუთარ გზას, მაგრამ სინამდვილეში იმ ქვეცნობიერი იმპულსების ტყვეობაში არიან, რომელთა ამოცნობაც ვერ მოახერხეს.

ამ ინტერპრეტაციას ეხმიანება ფილოსოფოსი მარია ანტონაჩიოც თავის ნაშრომში ***Picturing the Human: The Moral Thought of Iris Murdoch*** (2000). ანტონაჩიო ხაზს უსვამს, რომ მერდოკის გმირებისთვის მორალური მარცხის მიზეზი ხშირად არის ხედვა, რომელიც საკუთარი სურვილების საბურველშია გახვეული. ამგვარი ხედვა იწვევს არა მხოლოდ მორალურ შეცდომებს, არამედ თვითონ სიყვარულის, ურთიერთობებისა და ხელოვნების დამახინჯებასაც კი (Antonaccio, 2000, გვ. 132-136) ვინაიდან სიყვარული არ ეფუძნება რეალურ გაგებას, ხელოვნება ვერ ასახავს ჭეშმარიტებას, და ურთიერთობები მანიპულაციის პროდუქტი ხდება. სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტება და სიკეთე შეუძლებელია იქ, სადაც ეგო ბატონობს ხედვაზე.

მსგავსი მოსაზრებაა გამოთქმული შემდეგ კვლევაშიც, რომლის მიხედვითაც, მერდოკისთვის *"these modern ethical frameworks failed to address the complexities of human morality, reducing it to either personal freedom, the pursuit of utility, or the conditioned responses of human behaviour"* (Verma, 2021, გვ.1). ეს მოსაზრება პირდაპირ ეხება ,,შავი პრინცის" პერსონაჟების ქცევებსაც. ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ თავი წარმოადგინონ მორალურ გმირებად, მაგრამ რეალურად მათი ქმედებები განპირობებულია ეგოცენტრული სურვილებითა და ემოციური სისუსტეებით. არც ერთ მათგანს არ ძალუძს გათვითცნობიერებულად იმოქმედოს მორალურად, რაც სწორედ მერდოკის ფილოსოფიაზე მიგვანიშნებს, რომ მორალი არ არის მხოლოდ არჩევანი, არამედ გულწრფელი და გააზრებული ძალისხმევა, რომ დავინახოთ სხვები ჩვენს მიღმა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რადგან არ არსებობს ჭეშმარიტად თავისუფალი ნება, დარღვეულია კავშირი რეალობასთანაც. როდესაც არჩევანი მხოლოდ საკუთარი სუბიექტური ხედვის შედეგია, ადამიანი ვეღარ აღიქვამს გარესამყაროს ისეთად როგორიც არის. შედეგად, მორალური ცნობიერება დაბინდულია და რეალობა იცვლება პერსონაჟების წარმოდგენების შესაბამისად. სწორედ ამ თვალსაზრისით იკვეთება რომანში რეალობისა და ირეალობის მუდმივი

დაპირისპირება, რომელიც არა მხოლოდ პერსონაჟების ქცევაში, არამედ თხრობის ფორმაშიც მკაფიოდ აისახება.

4. რეალობისა და ირეალობის დაპირისპირება

მოცემულ რომანში ხელოვნება მნიშვნელოვან კვეთაშია რეალობასა და ირეალობასთან. მისი გავლენაც ამ უკანასკნელზე მეტად კომპლექსურადაა წარმოჩენილი, ვინაიდან ხელოვნების წყარო პერსონაჟებისთვის განსხვავებულია. კერძოდ, არნოლდ ბაფინისთვის ხელოვნება სათავეს იღებს რეალობისგან, ხოლო ბრედლისთვის კი - ფანტაზიისგან. მისი აზრით, წარმოსახვა ხელოვნების საფუძველია, ხოლო რეალობა მხოლოდ შემთხვევითი დეტალების გროვაა, რომელსაც მხოლოდ ფანტაზია აძლევს სიცოცხლესა და სიღრმეს. პირსონი თავადაც ამბობს:

"Art is imagination. Imagination changes, fuses. Without imagination you have stupid details on one side and empty dreams on the other" (Murdoch, 2003, გვ. 32).

მოცემული მონაკვეთი ბრედლის პირველ გულწრფელ აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნებაზე, რომელსაც ისეთი წარმოსახვის მქონე ადამიანი ქმნის, ვისაც რეალობის მანიპულაციაც კი შეუძლია. წარმოსახვის ძალით ყველაფრის ხორცშესხმა ხდება. როგორ შეიძლება რეალობის ცვლილება და ფანტაზიის დაჯერება? თუკი ადამიანს საკუთარ თავზე ზემოქმედების ძალა შესწევს, ისევე როგორც ამას რეალობა ახერხებს, მაშინ ამით მორალური წნეხის თავიდან არიდებაც კი შესაძლებელია. რეალობა ხომ ყველაფრის მიუხედავად მაინც ილუზიაა, სადაც მოვლენათა უმეტესობა ალბათობაზეა დამოკიდებული და თუ ადამიანს შეუძლია ალბათობებისა და დაშვებების ხელისგულზე თამაში, მაშინ მას საკმარისი ძალა შესწევს იმისათვის, რომ იცხოვროს ისეთ რეალობაში როგორშიც უნდა, თუნდაც ფაქტების უგულვებელყოფის ხარჯზე. მთავარია რისი გვჯერა ჩვენ. ამიტომაც, თუ ბრედლი თვლის, რომ არ გაუგია პრისცილას თვითმკვლელობის შესახებ, არ ულაპარაკია ფრენსისთან, მაშინ იგი თავისუფლდება მორალის სამსჯავროსგან. ეს ყველაფერი არა უბრალოდ მაგალითი არამედ პირდაპირი კავშირია ბრედლისეულ ხედვასთან ხელოვნებაზე, რადგან თუ მან შეძლო რეალობის მანიპულაცია, მაშინ იგი ხდება საკუთარი ხელოვნების სრულუფლებიანი შემოქმედი, რომელიც ისეთ სახეს, ისეთ ნიღაბს მოირგებს, როგორსაც თავად მოინდომებს და ირწმუნებს.

"One of the many respects, dear friend, in which life is unlike art is this: characters in art can have unassailable dignity, whereas characters in life have none" (Murdoch, 2003, გვ. 70).

ბრედლის ცხოვრება სწორედ ამგვარ სიუჟეტურ ქარგას მიჰყვება. ბრედლის პერსონაჟი ღირსეული ადამიანის სურათს გვიხატავს, რომლის ხელოვნებაც მაღალ ღირებულებებზე და ჭეშმარიტებაზე გადის. მეორე მხრივ კი, ვაკვირდებით ბრედლის რეალურ ცხოვრებაში, რომელიც არანაირი პოპულარობით სარგებლობს და ბოლოს პრესისა და ახლობელი ადამიანების გადმოცემითაც კი მოკლებულია ყოველგვარ იმ ღირსებას, რომლითაც ასე მოჰქონდა თავი.

ანტონაჩიო თავის წიგნში ***A Philosophy To Live By: Engaging Iris Murdoch*** (2012) მერდოკის პერსონაჟებზე საუბრისას მიუთითებს, რომ ისინი ხშირად ფიქრობენ, თითქოს ხელოვნებაში ჰპოვებენ გამოსავალს, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ საკუთარ სამყაროში იკეტებიან. ისინი ხელოვნებას იყენებენ როგორც ფარდას. აირის მერდოკიც ამტკიცებს, რომ ხელოვნება არა მარტო ჭეშმარიტების მაძიებელია, არამედ შეუძლია გაუმჭვირვალე თავდაცვის ფუნქცია შეითავსოს. ხელოვნება შეიძლება მართლაც გახდეს ჭეშმარიტების მაძიებელი საშუალება, მაგრამ ხშირად იგი ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ადამიანმა თავი აარიდოს რეალობას. მერდოკის გმირები ხშირად ირჩევენ ამ უკანასკნელს, რაც მხოლოდ მათი შიშებისა და მორალური პასუხისმგებლობისგან თავის არიდებას ემსახურება.

ხელოვნების ილუზიას ამოფარებული ადამიანის მიზანი არაერთგვაროვნად შეგვიძლია შევაფასოთ. აირის მერდოკი თავის ესეში ***The Sovereignty of Good over Other Concepts*** (2003) გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ფსიქიკა ხშირად იცავს თავს უსიამოვნო რეალობისაგან, თუნდაც უბრალოდ ოცნებებით ან გამონაგონის დაჯერებით.

"One of its main pastimes is daydreaming. It is reluctant to face unpleasant realities. Its consciousness is not normally a transparent glass through which it views the world, but a cloud of more or less fantastic reverie designed to protect the psyche from pain. It constantly seeks consolation, either through imagined inflation of self or through fictions of a theological nature" (Murdoch, 2014, გვ. 72).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრედლის აკვიატებაც ხელოვნების მაღალი იდეალებით სინამდვილეში მისი ქვეცნობიერისგან მომდინარე თავდაცვა იყო. მას ხშირად აწუხებდა ის ფაქტი, რომ სათანადო განათლება არასდროს მიუღია, მისი ოჯახიც უბრალოდ მაღაზიის მფლობელები იყვნენ და მან ამასთან გამკლავების საშუალებად გამონახა უკმეხი კრიტიკოსის როლის მორგება, რომელიც გამუდმებით წუხს, რომ არ ფასდება ჭეშმარიტი ხელოვნება და ხალხს მოსწონს მხოლოდ ის, რასაც ბრედლი უფრო მეტად ჟურნალისტიკად მიიჩნევს და არა ნამდვილ ლიტერატურულ შემოქმედებად. თუმცა ის თავადაც არაა ისეთი ავტორი როგორიც უნდა რომ იყოს. მისი შთაგონება დაცლილია, განიცდის კრიზისს შემოქმედებაში, რომელიც ჯერ არც კი შეუქმნია, მაგრამ

მაინც, გაცილებით უფრო რეალურად მიაჩნია ის, რაც მისი წარმოდგენით სიმართლეა, ვიდრე ის, რაც ნამდვილი მოცემულობაა.

ამ თეორიიდან გამომდინარე, კიდევ უფრო თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ იმიჯის ანუ ხშირ შემთხვევაში სიმულაციის მნიშვნელობა. ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ცდილობენ შეინარჩუნონ ფორმა - მაგალითად, იყვნენ თავაზიანები, არ აჩვენონ სისუსტე, არ გამოჩდნენ სულელებად - ამის პარალელურად კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რამდენად ზნეობრივია მათი ქმედებები. შესაბამისად, პრიორიტეტი ხდება არა სიმართლე ან სიკეთე, არამედ გარეგნული ფორმა - როგორები ჩანან სხვების თვალში. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ერთგვარ ილუზორულ თამაშთან, რომელიც დანარჩენებს აჯერებს იმაში, რაც რეალობას არ შეესაბამება. სინამდვილეში, გაცილებით მნიშვნელოვანია შინაგანი ზრდისა და მოწიფულობის მიღწევა, რაც შეუძლებელი იქნება ფორმისა და შინაარსის იმგვარი ურთიერთობის გარეშე, სადაც ფორმა არ გადაწონის შინაარსს. რომანის მთავარი მთხრობელისთვისაც - ბრედლი - ხშირად მნიშვნელოვანი იყო, რომ შეექმნა იმიჯი. იმიჯი ახალგაზრდა კაცისა, რომელიც მოხიბლავდა ჯულიანს. იმიჯი კაცისა, რომელმაც არ იცის, რომ მისი და გარდაიცვალა. იმიჯი ადამიანისა, რომელსაც არ უნდოდა სიყვარულის გამხელა, ჯულიანთან ინტიმური კავშირი და ქორწინება, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც გააკეთა, რადგან იგი შინაგანად არასდროს ყოფილა იმ ღირებულებების მატარებელი, რომლის თაყვანისმცემლადაც თავს აჩვენებდა. ასე რომ ნათელია, ადამიანის მიერ შექმნილ ილუზიას ისევ ადმიანის ქმედებები ამხელენ.

ერთადერთი რეალობა კი ისაა, რომ ბრედლიმ, რომელიც ასე აფასებდა მოთმინებას და აქილიკებდა სხვა მწერლებს მისი ნაკლებობის გამო, თავადვე ვერ შეძლო სათანადო თავშეკავებულობის გამოჩენა მაშინ, როდესაც იგი ყველაზე საჭირო იყო. გარდა ამისა, მან ვერც ეგოცენტრიზმის დაძლევა შეძლო და დაამტკიცა, რომ მორალის სტანდარტები ეგოიზმის მიხედვით იცვლება. აირის მერდოკი თავის ესეში ეგოცენტრიზმის დათრგუნვას პირდაპირ უკავშირებს მორალურ ქმედებას:

"The self, the place where we live, is a place of illusion. Goodness is connected with the attempt to see the unself, to see and to respond to the real world in the light of a virtuous consciousness" (Murdoch, 2014, გვ. 82).

ადამიანი ცხოვრობს ილუზორულ სამყაროში, რომელსაც თავად ქმნის საკუთარი სურვილებით, შიშებითა და წარმოდგენებით. გამუდმებით აკვიატებული ყურადღება შინაგანი ,,მე-სკენ" რეალობის ნათელ შუქს თრგუნავს. სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტი სიკეთე და მორალურობა იწყება მაშინ, როცა ვახერხებთ, გავცდეთ ეგოს ზემოქმედებას, გადავაბიჯოთ ჩვენს თავს და სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ. მორალურობა ხედვაა

- არა საკუთარი სურვილების, არამედ გარესამყაროს ჭეშმარიტებისა. თუკი ბრედლისთვის მისი სიძისა და ახალგაზრდა საყვარლის ურთიერთობა მიუღებელი იყო, მოგვიანებით მის მიერ 20 წლის ჯულიანის სიყვარული ეჭვქვეშ აყენებს მის ერთგულებას ხელოვნების მისიის მიმართ. შესაბამისად გამოდის, რომ ბრედლი, რომელიც მუდმივად ამტკიცებს, რომ მისი ხელოვნება მაღალი იდეალებისკენ ისწრაფვის, საბოლოოდ უფრო პლატონურ ჩიხში ვარდება და ქმნის ილუზიას, რომელიც რეალობას აჩრდილივით ჰგავს, მაგრამ ჭეშმარიტებას გვაშორებს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბრედლი იყენებს ნიღაბს, რომლითაც ქარგავს მისეულ რეალობას, რომელიც თითქოს ეთიკური ხელოვნების საბურველშია გახვეული, თუმცა პასუხი ისაა, რომ ბრედლის სინამდვილე მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტური სურვილებით იმართება.

5. სიყვარულის დეკადანსი

ზღვარი რეალობასა და ირეალობას შორის წაშლილია არა მხოლოდ ხელოვნებასთან მიმართებაში, არამედ პერსონაჟთა ურთიერთობებშიც. პარადოქსულობა შეინიშნება ფაქტობრივად ყველა ქორწინებაში, რომელიც ყოველთვის სიყვარულისა და სიძულვილის მიჯნაზეა მოცემულ რომანში. არცერთი პერსონაჟის სასიყვარულო ისტორია, თუ ეს ტერმინი ზუსტად ასახავს ცნებას, არ წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს. თითოეული პერსონაჟის თანაცხოვრებას ტრაგიკული ან უბრალოდ წარუმატებელი დასასრული აქვს. ბრედლისა და კრისტიანის ქორწინება კი წარუმატებელზე მეტი აღმოჩნდა. აქ საქმე გვაქვს ემოციათა ნაკადთან, რომელიც დროთა განმავლობაში სიძულვილის ტალღად გარდაიქმნება. ამგვარი ტრანსფორმაციის მთავარ საფუძველს კი ადამიანის მეობის ხელყოფა წარმოადგენს. ამიტომაც, ბრედლის ცნობიერი თანდათან მოიცვა გრძნობამ, რომელიც თავიდან „ცხოვრების მომნიჭებლად“ აღქმულ ქალს „სიკვდილის მაუწყებლად“ გარდაქმნის:

"At first I saw her as a life-bringer. Then I saw her as a death-bringer" (Murdoch, 2003, გვ. 19).

ბრედლისთვის ეს თანაცხოვრება იქცა სულისშემხუთველ თანაარსებობად, სადაც წყვილმა ერთმანეთის გაბედნიერების უნარი დაკარგა. ეს კრიზისი იმდენად ყოვლისმომცველი გახლდათ, რომ მან ყოველგვარი ემოციური კავშირი გაანადგურა, რის შედეგადაც ბრედლისა და კრისტიანის ურთიერთობა სრულ იზოლაციამდე მივიდა. მიუხედავად უცვლელი ფაქტისა - წყვილის გარდაუვალი გაუცხოება - ავტორის მანიპულაციური თხრობის შედეგად ძნელია იმის დადგენა რომელი მათგანის ისტორიაა მართებულად გადმოცემული. ირეალობისა და რეალობის ამგვარი სინთეზით ავტორი

გამუდმებით შუალედურ სივრცეში ამყოფებს თავის მკითხველს, სადაც ფაქტები ერთიანად კარგავენ სანდოობას.

განსხვავებულ სიუჟეტურ ბადეს ვხვდებით პრისცილასა და როჯერის ქორწინებაში, რომელიც ურთიერთობის იმგვარ ფორმას გვაჩვენებს, სადაც ადამიანი მიჯაჭვულობას განიცდის სიყვარულზე მეტად, მაგრამ ეს მიჯაჭვულობა სულაც არაა შვების მომტანი, არამედ იგი იქცევა ობსესიად, რის შედეგადაც საკუთარი არსებობის მსაზღვრელი ხდება სხვა ადამიანის ყოფნა შენს ცხოვრებაში. ასეთი ურთიერთობა დესტრუქციულია თავისივე არსით, ვინაიდან ადამიანი იცლება შინაგანად, კარგავს მორალურ ორიენტირს და მარტოობის შიშით კონტროლირებული განწირული ხდება დაღუპვისთვის. პრისცილას ცხოვრება გამუდმებით გაურკვეველ ზღვარზეა, სადაც წარსული და აწმყო, რეალობა და ირეალობა, შესაძლებლობა და თვითირონია, იმედი და უიმედობა ერთდროულად თანაარსებობენ. მისი სიძულვილი ქმრისადმი გარდაიქმნება საკუთარი თავისკენ მიმართულ სიძულვილად, რომელსაც მოსდევს მონანიება და პატიების სურვილი. ხასიათის ამგვარი დუალიზმი კი ქმნის ფანტაზიას, რომელიც გაცილებით უფრო დამღუპველია ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც მასზე კონტროლი არ გააჩნია.

"We are anxiety-ridden animals. Our minds are continually active, fabricating an anxious, usually self- preoccupied, often falsifying veil which partially conceals the world" (Murdoch, 2014, გვ. 76).

აირის მერდოკის ზემოხსენებული ესეს მიხედვით, ადამიანი შინაგანი შფოთვით მართული ცხოველია, რომლის გონებაც გამუდმებით ქმნის ინფორმაციულ ქსელს, რაც ხშირ შემთხვევაში რეალობის დამახინჯებულ აღქმას წარმოშობს. პრისცილა დუალობისა და სასოწარკვეთილების ყველაზე ზუსტ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც იმდენად შეძრწუნებულია საკუთარი მდგომარეობით, რომ ერთმანეთისგან ვეღარ არჩევს ტყუილსა და მართალს. ხშირად ეჩვენება, რომ როჯერიც განიცდის ამ დაშორებას, რის გამოც მის შებრალებას იწყებს და მასთან დაბრუნება მოუნდება. სინამდვილე კი რადიკალურად განსხვავდება მისი ფანტაზიებისგან. პრისცილას სულიერი ტრავმა გამოიხატება ფიზიკურადაც, იგი ყოველმხრივ უუნარო ხდება. ამგვარ ქმედებაზე მისი ფსიქოლოგიური პასუხი ისაა, რომ საკუთარი სხეული ლეშად მიაჩნია, რომელიც ყარს, ლპება და ცოცხლად იხრწნება. ეს შეიძლება საკუთარ თავთან წინააღმდეგობის ფორმად ჩაითვალოს, სადაც ცნობიერი და ქვეცნობიერი ერთმანეთს ებრძვიან და ვერ პატიობენ. საბოლოოდ კი, როდესაც პრისცილას ილუზიები ნადგურდება, იგი ვერ ადაპტირდება ახალ სინამდვილესთან, სადაც სხვები

ჩვეულებრივ აგრძელებენ ცხოვრებას. შესაბამისად, ფანტაზიების საზღაურს იგი საკუთარი სიცოცხლით იხდის.

საყურადღებოა პრისცილას ობსესია ნივთებითაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას სამყაროში მხოლოდ ნივთები გააჩნია, რომ მათი ადგილი მხოლოდ და მხოლოდ პრისცილას გვერდითაა. თითქოს ეს მისი ტკივილგამაყუჩებელია, თითქოს იმდენად ვერ რეალიზდა ურთიერთობებში და დაკარგა გარშემო ცხოვრებაზე კონტროლი, რომ რეალობიდან ეშვება ილუზიებში და საკუთარ წარმოსახვებს უკავშირებს უსულო ნივთებს.

"I gave him my life. I haven't got another one. A woman has nothing else.
Fruitless and bootless. Fruitless and bootless" (Murdoch, 2003, p. 75).

"Even hating Roger was something, it meant something, being made unhappy by him did, after all he belongs to me. And I was used to things there, there was something to do…" (Murdoch, 2003, გვ. 119).

ამდენად, აშკარაა, რომ პრისცილას ცხოვრებაში აღარ არის არც სიყვარული და აღარც სიძულვილი - მხოლოდ სასოწარკვეთილება, რაც ადამიანს აიძულებს რომ ყველაფერს შეეგუოს. მარტოსულობის შიში გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ადამიანი თვითმკმარი არსება არაა.

რომანში უამრავი წარუმატებელი ურთიერთობის ფონზე ბრედლის სიყვარული ჯულიან ბაფინის მიმართ თითქოს აბსოლუტურია, სუფთა და გულწრფელი. მაგრამ ის სიყვარულს განიცდის არა როგორც ურთიერთობას, არამედ როგორც სიმბოლოს. ჯულიანი მისთვის აღარ არის ადამიანი - ის ხდება ხსნა, მუზა, გზა ჭეშმარიტ ხელოვნებამდე. თითქოს მას უყვარს არა ჯულიანი, არამედ ის რაც შეიძლება ჯულიანი გახდეს ბრედლისთვის. ამიტომაც, ასეთი სიყვარული იქცევა ეგზისტენციალურ პროექტად და როგორც პროექტი, განწირულია მარცხისათვის. როგორც ჩანს, ბრედლის წარმოდგენა როგორც ხელოვნებაზე ისე სიყვარულზე ერთსა და იმავე მოტივს იზიარებს, რაც რეალობის აღქმას სცილდება.

ყველაზე მეტად სიყვარულისა და სიძულვილის ჭიდილი თუ სადმე იგრძნობა ეს რეიჩელისა და არნოლდის ქორწინებაა. ქორწინება როგორც ბუტაფორია, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში არ ეფუძნება წრფელ გრძნობებს. პრობლემის სათავე კი ისაა, რომ ისინი არ იცნობენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეას არ იზიარებენ. მათ ურთიერთობაში სრული დისბალანსია, სიყვარულს ანაცვლებს საზოგადოებრივი იმიჯის შექმნა, რომელიც ყველას აფიქრებინებს, რომ ბაფინების ოჯახი სანიმუშოა. ამის გამო ისინი კარგავენ სიახლოვეს, რომელსაც უკვე სხვა ადამიანებში ეძებენ. არნოლდისა და რეიჩელის ურთიერთობა წარმოადგენს ერთგვარ „მორალურ სარკეს", რომელიც აჩვენებს, როგორ იმოსება ძალადობა და ზეწოლა სიყვარულისა და მოვალეობის

ნიღბით. ამიტომაცაა, რომ მათ ქორწინებაში წამყვან ძალად იქცევა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულობისა და დაცულობის შეგრძნება, რაც სიყვარულის დეკადანსის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

და ბოლოს, უამრავი კომპლექსური ურთიერთობის ფონზე საინტერესოა არსებობს თუ არა საერთოდ გულწრფელობა და ჭეშმარიტი სიბრალული მოცემულ რომანში. პერსონაჟები ერთმანეთს თანაუგრძნობენ არა იმიტომ, რომ ერთმანეთის ნამდვილად ესმით, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი თავები ეცოდებათ და ამას საკუთრივ ბრედლის სიტყვები მოწმობს:

"I thought, poor poor Priscilla, with a pity for which I deserved no credit since I was simply feeling sorry for myself" (Murdoch, 2003, გვ. 61).

როგორც ჩანს თანაგრძნობა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საკუთარი თავის გაიგივებას ცდილობ სხვებთან, ამისთვის კი ჯერ საკუთარი თავის სიბრალულამდე უნდა მიხვიდე, რაც ერთგვარ კათარზისულ მოცემულობას გვაძლევს.

6. დასკვნა

წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ აირის მერდოკის ***შავი პრინცი*** ილუზიას გარდაქმნის ფსიქოლოგიურ და მორალურ მდგომარეობად, რომელიც განსაზღვრავს პერსონაჟების სიყვარულის, ხელოვნებისა და თვითმყოფადობის აღქმას. ნაშრომში გამოვლენილია, რომ პერსონაჟები ხშირად ემორჩილებიან ილუზიას საკუთარი ეგოს, შიშებისა და სურვილების დასაფარად, რაც მერდოკის ფილოსოფიურ ხედვას მხატვრულად გადმოსცემს.

,,შავი პრინცი" არის რომანი, სადაც სიყვარული ხშირად იმგვარ სახეს იღებს, რომელიც ილუზიისგან თითქმის ვერ გაირჩევა. ავტორი ხელოვნების, სიყვარულისა და მორალის შესახებ არსებული წარმოდგენების საჩვენებლად თხრობის ისეთ სტილს ირჩევს, რომელიც თავად მკითხველსაც არ აძლევს რეალობის სრული გაგების საშუალებას. ნარატიული ჩარჩოები - ბრედლის წინასიტყვაობა და სხვა პერსონაჟების ბოლოთქმები - აჩვენებს, რომ რეალობა არასდროსაა ერთმნიშვნელოვანი. პერსონაჟები მორალური სიმაღლეებისკენ მიისწრაფვიან, თუმცა ხშირად ეს მხოლოდ იმიჯია - ნიღაბი, რომელიც ეგოს, შიშებსა და სურვილებს ფარავს.

საბოლოოდ, ***შავი პრინცი*** ის ნაწარმოებია, სადაც მკითხველიც აღმოჩნდება დეტექტივის როლში. მორალური ჭეშმარიტების ძიებაში მას არც ობიექტური ფაქტები ეხმარება და არც სანდო წყარო, არამედ მხოლოდ შესაძლებლობა, ჩასწვდეს

პერსონაჟთა შინაგან სამყაროს და დაინახოს, როგორ იქცევა სიყვარული ილუზიად და როგორ იცვლება რეალობა პერსპექტივის ძალით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Antonaccio, M. (2000). *Picturing the Human: The Moral Thought of Iris Murdoch.* Oxford University Press.
2. Antonaccio, M. (2012). *A Philosophy to Live By: Engaging Iris Murdoch*. Oxford University Press.
3. Murdoch, I. (2003). *The Black Prince*. Penguin Classics.
4. Murdoch, I. (2014). *The Sovereignty of Good*. Routledge.
5. Sartre, J.-P. (2007). *Existentialism is a humanism*.
6. Verma, R. (2021). Critique of Modern Moral Philosophy in Iris Murdoch's Novels: A Philosophical and Literary Exploration. *International Journal of Creative Research Thoughts (IJCRT)*.

ავტორის შესახებ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ლიტერატურის მოდულის მეორე კურსის მაგისტრანტი. დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. მუშაობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტუდენტი ექსპერტის სტატუსით. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი გაატარა ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტში, იტალიაში. ამჟამად დასაქმებულია სკოლაში ინგლისურის მასწავლებლის პოზიციაზე.

About the author:

A second-year master's student of English Literature, Faculty of Humanities. He completed the undergraduate program of English philology at Tbilisi State University. He worked as a student expert at the National Center for Educational Quality Enhancement. Participated in the Erasmus

MA exchange program and spent one semester at Ca'Foscari University of Venice, Italy. He is currently employed as an English teacher at school.

E-mail: Ghughunishvili.tsotne@gmail.com

სამადლობელი:

დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემი სტატიის ხელმძღვანელს ლილიანა გოგიჩაიშვილს გაწეული შრომისათვის, სტატიის როგორც ტექნიკური ისე სტრუქტურული ასპექტების გამართვაში დახმარებისთვის.

Acknowledgements:

I would like to express my gratitude to the supervisor of my research, Liliana Gogichaishvili, for her invaluable assistance in organizing the technical and structural aspects of the article.